ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 165 (18707) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘ — 200: ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲡᲛᲝᲑᲡ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ აღმავლობა გამოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილმა რესპუბლიკის მშრომელებისადმი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები სეგაყვან, ქარიშხალმა, წყალდიდობამ გააჩანაგა და ზოგან მოსპო ელექტრიკის ნაამაგარი, რომ ახეთ დროს მათ დახმარებლად ყველამ მოუღლელად, გაორკეცებული ენერგიით უნდა იშრომოს, რათა მეტი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით ნაწილობრივ მაინც გადაიფაროს ის დიდი ზარალი, რომელიც სტიქიამ მიაყენა სოფელს.

ᲐᲛ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ ფართოდ გამოეხმაურნენ დასავლეთ საქართველოს მშრომელები. ამას ისიც მოწმობს, რომ რედაქციაში ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები მათ თავდადებულ შრომაზე. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის ღირსეულად დამთავრებისათვის ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებასთან ერთად ისინი უხვად აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის **ᲕᲐᲜᲘᲡ** რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება გვატყობინებენ:

— წალენჯიხის რაიონის მშრომელებს ახსოვთ, როგორ დაეხმარნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები როგორც ტექნიკით, ისე პირუტყვის საკვებით. ახლა ენერგიული შრომაა გაჩაღებული იმ დიდი ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც უამინდობამ მიაყენა ქართლ-კახეთის რაიონებს და ამ საქმეში გარკვეული წვლილის შესატანად სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების წლევანდელი 6 თვის საგეგმო დავალებანი ჯერ კიდევ 21 ივნისისათვის შესრულდა, 30 ივნისს შესრულდა აბრეშუმის პარკის დამზადების დავალებაც. ვალდებულებით ნაკისრი 210 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 213 ცენტნერი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. მეჩაიეთა ახალი გადიდებული ვალდებულება ითვალისწინებს 32.900 ტონის ნაცვლად აწარმოონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 34 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გარდა ამისა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდება 500 ტონა ხილი, დიდძალი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის **ᲧᲐᲜᲘᲡ** რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება გვატყობინებენ:

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲬᲔᲑᲘᲗ

— რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების მიმართვამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის მშრომელებში. ახლა გარიჟრაჟიდან გვიან საღამომდე მოუღლელი შრომაა გაჩაღებული ბაღ-ვენახებში, სიმინდის ყანებში და მეცხოველეობის ფერმებში. თითოეული კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშის, რაიონის ყველა მშრომელის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ამ გაჭირვების ჟამს გვერდით ამოუდგნენ აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელებს და ზეგეგმითი პროდუქციის წარმოებით დაეხმარონ მათ იმ დიდი ზარალის დაფარვაში, რომელიც უამინდობამ გამოიწვია. ამჯერად თავი ისახელეს მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს პარკის დამზადების საგეგმო დავალება. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. მეზილეებმა კი საკავშირო ფონდში 500 ტონა კოკონი ხილის ნაცვლად 570 ტონა შეიტანეს. ხილის საკავშირო ფონდში გაგზავნა ზევალდებულების ანგარიშში წარმატებით გრძელდება. მიღწეულია აგრეთვე სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში.

ამ დაძაბული შრომის დღეებში ქართლ-კახეთის რაიონების დასახმარებლად განსაკუთრებით ენერგიულად შრომობენ მთისძირის, საცხენოს, დიბაშოს, ბზვანის, ჰერეთის კოლმეურნეობების, ციხისულლორის, სულლორისა და ზენიდრის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

* * *

ᲡᲐᲜᲘᲰᲐᲠᲣᲚᲘ დეპეშებია მიღებული აგრეთვე საქართველოს კომპარტიის **ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ, ᲡᲐᲛᲩᲮᲔᲓᲘᲡ, ᲮᲝᲜᲘᲡ, ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ** რაიონებიდან და ქალაქ **ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡᲐᲜ.** ადგილობრივი ხელმძღვანელობა გვაცნობებს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად აღნიშნული რაიონებისა და ქალაქ ტყიბულის ზონის სოფლის მშრომელები ყველაფერს ღონობენ არა მარტო ხუთწლედის მესამე წლის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, არამედ ვალდებულების გადამეტებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვად წარმოებისათვის იმ დიდი ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს მიაყენა სტიქიამ.

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲐᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (ᲗᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ბევრი საქებარი სიტყვა თქმულა აქაური შახტმშენებლებზე. ისინი ყოველწლიურად ახალ სიმძლავრეებს აყენებენ მწყობრში და ხელს უწყობენ მანგანუმის მადნის მოპოვების ზრდას.

— ჩვენი კოლექტივი, — თქვა საუბარში „შახტმშენის“ სამმართველოს უფროსმა ზ. მშვენიერაძემ — გეგორგიევსკის ტრაქტატის აღსანიშნავ შრომითს ვიტაზე დგას. 10 ივნისისათვის ჩვენმა მშენებლებმა და მემონტაჟეებმა შეასრულეს 990 ათასი მანეთის სამუშაოები, რითაც გაანაღდეს ნახევარი წლის დავალება. ახლა იმისათვის ვიბრძვით, რომ ივლისის დამლევამდე დარჩენილ დროში დამატებით შევასრულოთ ათიათასობით მანეთის სამუშაო.

ამ დღეებში კიდევ უფრო დამკვრელურად შრომობენ კოროხნალის, პერევისის, ახალი ათხვისის, დარკვეთის ახალი მაღაროების მშენებელთა უბნები, რომელთაც ხ. გოცაძე, ა. კვიციანი, ბ. გოგატიშვილი, ჯ. ჩხეიძე უძღვებიან.

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲓ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲐᲓ

ᲖᲚᲘᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (ᲗᲐᲙ. ᲙᲝᲠ.) — მომჭირნეობა და სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება საერთო-სახალხო საქმეა, — განაცხადა სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კაბელის ქარხნის დირექტორმა გ. კუჭუხიძემ, — ჩვენი საწარმოს კოლექტივი ამ თვალსაზრისით ცდილობს მოწინავეთა შორის იყოს.

ზესტაფონელ მეკაბელეებს უფლება აქვთ უპატაკონ პარტიას, ქვეყანას: წლის დამდეგიდან განვლილ პერიოდში დავალების გადამეტებით გამოშვებულია 250 ათასი მანეთის პროდუქცია. უფრო კარგად ვიმუშაავეთ ნედლეულისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის. ჩვენს ანგარიშზეა დაზოგილი 25 ტონა სპილენძი, 37 ტონა ალუმინი, 50 ტონა პლასტიკატი, 48 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საწარმოს კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნარჩენების მეორეულ გამოყენებას. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ საწარმოს ყველა უბნის კოლექტივები.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲑᲐᲠᲘ

ᲙᲝᲚᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲑᲐᲠᲘ

ᲩᲐᲘᲡ ფოთლის კრეფის დიდი სეზონი თავის გადამწყვეტ სტადიაშია. მახარაძის რაიონში მეჩაიეები დღენაადგ უმატებენ ფოთლის კრეფის ტემპს, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. დაწინაურდნენ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები, რომლებიც ყოველდღიურად 10-15 ტონით მეტ ნედლეულს ამზადებენ, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში, საშუალოდ დღეში 80-100 ტონნ ფოთოლს აბარებენ წარმოებას. აქ შარშანდელთან შედარებით 300 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი აქვთ მოკრეფილი. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ მეჩაიეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პომსახურება მაღალ დონეზეა დაყენებული.

ამ დღეებში ვნახეთ შავი ზღვის სანაპიროზე ეგრეთ წოდებული „ომშვარაო“ თვალუწვდენელ, ჩაის ფოთლის უხვმოსავლიან პლანტაციებში მომუშავე მეჩაიეების გახარებულებში არსებული მომსახურების მთელი კომპლექსი. პატარა დაბას წაადგას ზედიზედ ჩამწკრივებული კოტეჯი, თეთრი სახლები, სადაც განლაგებულია მეჩაიეთა მომსახურების სხვადასხვაობიექტი.

საველე სასადილო თავის სამაცივრო მოწყობილობით საუკეთესო კაპიტალურ ბინაშია მოთავსებული, აქ ყოველდღიურად მზადდება ცხელი კერძები, მრავალფეროვანია მენიუ, არ აკლიათ გამაგრილებელი სასმელები. ჩვენ იქ იმ დროს მივედით, როცა მეჩაიეები პლანტაციიდან დაბრუნებულიყვნენ და გემრიელ კერძებს მიირთმევდნენ. ვისაუბრეთ მეჩაიეთა ახალგაზრდული ბრიგადის (ბრიგადირი — ს. მიქატაძე) წევრებს დ. გადახბაძეს, გ. კუნჭულიას, მ. თოხაძეს, ო. კვირველიას, ლ. თოხაძეს და სხვებს, რომლებიც მეტად კმაყოფილი არიან და მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ ასეთი კეთილმომსახურების შედეგად სეზონში რეკორდულ მოსავალს მოიწევენ.

სპლანტაციათ კონდარბაზი: პლანტაციაში მომუშავე მეჩაიეები შესვენების დროს, ანდა როცა ცუდი ამინდი წამოიწევათ, თავს იყრიან იქვე განლაგებულ კონდარბაზში, რომელიც 100-მდე კაცს იტევს, სიამოვნებით ნახულობენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს.

აქვე, პლანტაციაშია საუკეთესო სპორტული მოედანი თავისი გარნათებთ, ახალგაზრდები, ბიჭები და გოგონები, ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მარტო ჩაის კრეფაში, არამედ სპორტშიც.

ჰიგიენის ოთახი, საშხაპე, ბავშვთა ბაგა, წისქვილი, დატარებითი ვაჭრობა და კიდევ სხვა მომსახურება ხელს უწყობს მეჩაიეთა შრომითს შემართებას.

ნატანებელთა თავკაცმა, სოციალისტურმა შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გივი წითლიძემ თქვა:

— წლების მანძილზე ვალმი ვიყავით მკლავმოღლელ მეჩაიეებთან, რადგან ვერ აკმაყოფილებდა პლანტაციაში სამუშაოდ გასული მეჩაიეების მომსახურების ძველებური დონე. ფოთლის კრეფა მძიმე შრომაა. წარმოიდგინეთ, კილოგრამ ნედლეულში საშუალოდ 2.500-3.000 დუყია, სეზონის განმავლობაში კი საშუალოდ მკრეფავი 7-8 ტონა ფოთოლს ამზადებს. ამიტომ ყოველი ღონისძიებით ვცდილობთ მათი შრომის შემსუბუქებას. სწორედ ამის გამო მოვაწყვეთ მომსახურების მთელი კომპლექსი პლანტაციაში. შედეგიც საუკეთესოა, კრეფის ტემპი დღითიდღე მატულობს, ნედლეულის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც საკმაოა. გადაწყვეტილი გვაქვს ჩაის პლანტაციების ყველა დიდ მასივში მაქსიმალურად ავამაღლოთ მეჩაიეთა მომსახურების დონე. ამ გზით ხელი შევუწყოთ იმას, რომ წლევანდელ სეზონში დავამზადოთ სულ ცოტა 7.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

გავეცანით მეჩაიეთა ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის ავ-კარგს. ყველა კუთხე-კუნჭულში იგრძნობა შრომის საუკეთესო ტემპი. მეჩვიდმეტე ბრიგადის (ხელმძღვანელი — გ. ბაჯელიძე) მეჩაიეები სეზონში 265 ტონა ფოთლისათვის იბრძვიან. მათ უკვე მოკრიფეს წლიური დავალების 60 პროცენტზე მეტი. ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ ცნობილი მკრეფავები ს. თოხაძე, ტ. კვაჭანტირაძე, ლ. ზაქარეიშვილი, ს. ალაჯანიშვილი, ც. იფრიდონიძე და სხვა მრავალი.

მეჩაიეთა კომპლექსური მომსახურების საქმეში ნატანებელთა მაგალითი მისაბაძია. იმედია, ამით სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებიც დაინტერესდებიან.

ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲗᲐᲗ. ᲙᲝᲠ.

535 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲢᲔᲛᲞᲘ!

საქართველოს ჩაის პლანტაციებში, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, 18 ივლისისათვის მოკრეფილია 268,587,1 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 256,625 ტონა. სეზონის დაწყებიდან დღეშდე 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26,962 ტონით მეტია მოკრეფილი.

ამ პაპანაქაება სიცხეებში საველოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები დილით ადრე — 7 საათზე გამოდიან სამუშაოდ. შუადღისას რომ კარგად დაისვენებენ, გვიან ღამემდე კვლავ ენერგიულად შრომობენ, ამიტომაც კრეფის ტემპი დღითი დღე ძლიერდება. მაგალითად, მარტო ერთ დღეს, 17 ივლისს (კვირას) რესპუბლიკაში მოიკრიფა 4.739 ტონა ნედლეული, რაც წინა დღეების ნაკრეფს 300-400 ტონით აღემატება, ხოლო შარშანდელ ამ დღის ნაკრეფს — 1.111 ტონით.

ზუბარაძის რაიონში მოკრეფილია 43.442 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდის რაიონში— 37.315 ტონა, გალში — 25.875, ქობულეთში — 22.759, ოჩამჩირეში — 21,383, წალენჯიხაში —17.006, ლაზჩხუთში — 14.190, ჩხოროწყუში — 13.132, გეგეჭკორში —11.590, ხელვაჩაურში — 11.276, ჩოხატაურში — 7.827, ცხაკაიაში — 5.911, ტყიბულის ზონაში —5.525, წყალტუბოს ზონაში — 5.434, ხობში — 5.417, წულუკიძეში —4.856, გუდაუთაში — 3.888, სამტრედიაში — 1.514,8, გულრიფშში — 1.511, თერჯოლაში — 850,3, ჭიათურის ზონაში — 844, ქედაში — 780,4, ვანში — 537, სოხუმში — 434, აბაშაში —289,6 ტონა.

მეჩაიეებო! გვახსოვდეს, ხარისხისათვის ბრძოლა თითოეული მეჩაიის, მექანიზატორის, თქვენ გვერდით მომუშავე ყველა მუშაკისა თუ მოსწავლის გადაუდებელი, უპირველესი საქმეა. ამიტომ რაოდენობასთან ერთად ვიზრუნოთ ხარისხის მკვეთრი ამაღლებისათვის!

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ. 16 ივლისი. (საკდესი). გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილების, საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგებით მიმდინარეობს დანიის ქალაქ სილკებორგში, იუტლანდიის ცენტრში, „მშვიდობის შეხვედრა-83“, რომელშიც მონაწილეობენ დანიის, ნორვეგიის, ფინეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის აქტივისტები.

შეხვედრის ორგანიზატორებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ვ. ანდროპოვს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანს და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აცნობებენ, რომ მათ განზრახული აქვთ ხელი შეუწყონ მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფას.

შეხვედრის მონაწილეთა მისამართით მოვიდა ი. ვ. ანდროპოვის პასუხი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: საკუთარ ვიზიტარებ თქვენს შეშფოთებას, რომელიც გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს გადაწყვეტილებით განალაგონ ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები ევროპაში. ეს მხოლოდ კიდევ უფრო მეტად გაზრდის მშვიდობისადმი საფრთხეს ჩვენს კონტინენტზეც და საერთოდ მთელ დედამიწის ზურგზეც.

საბჭოთა კავშირი სოლიდარულია თქვენი შეხვედრის ლოზუნგებისა, რომლებიც მილიონობით ადამიანის მისწრაფებებს გამოხატავს. მხურვალედ მივესალმები თქვენს მისწრაფებას წვლილი შეტანოთ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეინარჩუნოს მშვიდობა და უზრუნველყოს ხალხთა უშიშროება, დაიცვას მაფი წმიდათაწმიდა უფლება, სიცოცხლისა და მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის უფლება. მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა ექვემდებარება დღევანდელობის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევას. ჩვენ ბირთვული შეიარაღების დარგში შეჯიბრებების წინააღმდეგნი, საერთოდ ყოველგვარი სამხედრო მეტოქეობის წინააღმდეგნი ვართ.

დასასრულ პასუხში ხაზგასმულია, რომ ბირთვული იარაღისაგან ევროპის ხსნის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდებოდა ჩვენი კონტინენტის ჩრდილოეთის გადაქცევა უბირთვო ზონად, და, რომ საბჭოთა კავშირი მზარს უჭერს ამ იდეას.

საბჭოთა ხელმძღვანელის მმართვა „მშვიდობის შეხვედრა-83“-ის მონაწილეებისადმი დიდი აღმავლობით აღიქვეს ჩრდილოეთის ქვეყნების წარგზავნილებმა, განაცხადა ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, დანიელმა ჰ. ბენტსენმა. ჩვენ, თქვა მან, ვიზიარებთ საბჭოთა ხელმძღვანელის აზრს იმის შესახებ, რომ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება კიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნის მშვიდობას როგორც ჩვენს კონტინენტზე, ისე მთელ დედამიწის ზურგზე. საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა, რომ იგი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებას ესწრაფვის. მშვიდობის მოსურნენი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის იმ იდეას, რომ ევროპის ჩრდილოეთი უბირთვო ზონად გადაიქცეს. ეს ნაბიჯი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდებოდა ბირთვული იარაღისაგან ევროპის გადარჩენის გზაზე. ჰ. ბენტსონმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ რ. რეიგანს დღემდე არ გაუცია პასუხი მისთვის გაგზავნილ წერილზე, და თქვა: საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, რომელიც კონსტრუქციულ პოზიციას ადგას, ვაშინგტონის ადმინისტრაცია გამუდმებით გაურბის მშვიდობისა და უშიშროების პრობლემების განხილვას.

სილკებორგის შეხვედრის მთავარი დევიზია „არ დავუშვათ ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგება დასავლეთ ევროპაში!“. ფორუმის პროგრამა მრავალფეროვანი და დაძაბულია. იგი ითვალისწინებს მოეწყოს სემინარები, პოლიტიკური საუბრები, თეატიკური, სალამოები, პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების, ომის საწინააღმდეგო სიმღერების შემსრულებელთა კონცერტები. მშვიდობის შეხვედრების ინიციატორები არიან ჩრდილოეთის ქვეყნების ომის მოწინააღმდეგე ორგანიზაციები.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნულ ხელმძღვანელობას, ნიკარაგუის რესპუბლიკის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელ საბჭოს, ნიკარაგუის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მეგობარ ნიკარაგუელ ხალხს გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ ნიკარაგუაში სახალხო რევოლუციის გამარჯვების ოთხი წლისთავის გამო.

ნიკარაგუელმა ხალხმა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მშრომელთა ინტერესებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა განხორციელებაში, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. ახალ ნიკარაგუას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის დაძაბულობის შენელების, სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის ბრძოლაში. თქვენი ქვეყანა მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მუქარისა და უხეში ზეგავლენის, მის მიერ მოწყობილი დაქირავებულთა ბანდების შეიარაღებული შეჭრის პასუხად ნიკარაგუელი ხალხი გმირულად იცავს თავის რევოლუციურ მონაპოვრებს, დამოუკიდებელი განვითარების კანონიერ უფლებას. ნიკარაგუა საკადრის პასუხს სცემს აგრესორთა ხელყოფას, იბრძვის ცენტრალურ ამერიკაში იმპერიალისტური ძალადობის მიერ განზრახ გაძლიერებული დაძაბული სიტუაციის სამაორლიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ნიკარაგუას მხარს უჭერენ ყველა, ვინც იცავს საერთაშორისო ურთიერთობაში სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპს, ყველა კონტინენტის პროგრესული ძალები.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სსრ კავშირსა და ნიკარაგუას შორის ვითარდება მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ, მშვიდობის განმტკიცებისათვის.

გისურვებთ თქვენ და მთელ ნიკარაგუელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, სანდინისტური რევოლუციის ამოცანათა განხორციელებაში, ნათქვამია დეპეშაში. (საკდესი).

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: კრემლში შეხვედრის ცერემონიალის დროს.

ᲡᲐᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲡᲐᲙᲐᲠ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 18 ივლისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ი. კადარს, დელეგაციის სხვა წევრებს თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს დახვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი. სტუმრებს ტაშით შეხვდნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ და მუშაობენ.

აეროდრომზე აღმართული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშები, გამწკრივდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამი სახეობის — სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელთა საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ა. გრომიკომ და ი. კადარმა ჩამოუარეს საბჭოთა შეიარაღების მწყობრს.

აეროდრომზე შეხვედრის ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის გავლით.

მომძე ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები კრემლისაკენ გაეშურნენ.

კრემლში, კრემლის დიდი სასაღლის მოედანზე ი. კადარს, დელეგაციის სხვა წევრებს გულითადად, ძმურად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი.

კრემლში შეხვედრის ცერემონიას დაესწრნენ ამხანაგები ა. ა. გრომიკო, ჰ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. დოლგიხი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აღმართული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშები.

კრემლში ოფიციალური შეხვედრის დროს გაიმართა ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის ხანმოკლე საუბარი.

ქუჩებში და მოედნებზე, სადაც მოტოციკლისტთა ესკორტით ჩაიარა ავტომანქანების კორტეჟმა, გამოკიდული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დროშები, მისასალმებელი ტრანსპარანტები. გზად დელეგაციას გულთბილად ხვდებოდნენ მოსკოველები. (საკდესი).

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲕᲐᲓᲘᲓᲔᲑ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲡ...

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის საკავშირო დღეები, ხოლო მათ ფარგლებში — ზეიმი ეპოქის გამოჩენილი პოეტის 90 წლისთავის აღსანიშნავად. 29 ივლისს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

მხცოვანმა და ახალგაზრდა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა პოეტებმა ხუთი დღე გაატარეს საქართველოში, ვ. მაიაკოვსკის სამშობლოში და მთელი ამ დროის მანძილზე რეციტაციის მომღერალი, მისი მგზნებარე პოეტი თითქოს მათთან ერთად იყო, ხოლო მისი ძლიერი ხმა მოუწოდებდა შთამომავლებს შემოქმედებითი მიღწევებისათვის, იმ საზოგადოების მიღწევებისათვის, რომლის მიერ თვით პოეტი იყო მობილიზებული და გაწვეული და, რომელსაც მან ასეთი ძალით უმღერა.

გაანვეწყოთ კონკრეტული საქმეებისათვის

დაუყოვნებლივ შევუდგეთ პარტიის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელებას, დავრაზმოთ ახალგაზრდობა მომავალი მუშაობისათვის, — ეს მოითხოვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისათვის რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები, რომლებსაც საფუძველად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

საქართველოს კომკავშირი, ისევე როგორც მთელი ლენინური კომკავშირი, ბევრს აკეთებს ახალგაზრდობის პოლიტიკური, მოქალაქეობრივი, ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებისათვის. იგი უპასუხებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ზრუნვას, ყურადღებასა და მხარდაჭერას და სულ უფრო კონკრეტულად, ეფექტიანად და ენერგიულად მონაწილეობს საერთო-სახალხო საქმეებში. ამის დადასტურებაა ჩვენი კომკავშირელების, ქალაქშვილებისა და ჭაბუკების შრომითი, საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქტიურობა. იგი ვლინდება რესპუბლიკის ყოველდღიური წარმატებებით, მისი წარგზავნილების გარჯით ბამის ტრასაზე და ურენგოი-უჟგოროდის გაზსადენის გაყვანაზე, ქალაქ გაგარინში და არაშავიწყნიადაგიანი ზონის მშენებლობებზე...

მოხსენებაში — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ, სხვა ორატორებმა აღნიშნეს წარმატებანი მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში და ყურადღება მიაპყრეს გადასაჭრელ პრობლემებს, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ზოგჯერ თავს არიდებს ახალგაზრდობის საჭირბოროტო პრობლემებს. ჯერ კიდევ ყველგან არ არის უზრუნველყოფილი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის განყოფილი კავშირი სამეურნეო მშენებლობაში მონაწილეობასთან. თავს იჩენს პარადული ხმაური, ქაღალდმთხზველობა და ფორმალიზმი, იმ უნარის უქონლობა, რომ ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე.

მაგალითად, პლენუმზე საგულდაგულოდ გაანალიზეს რესპუბლიკაში დუმეთის რაიონის კომკავშირელთა იმ პატრიოტული ინიციატივის გავრცელების გამოცდილება, რომელიც ითვალისწინებს კაკლის ხეების ჩაყრას. სასარგებლო იდეას ყველგან მხურვალედ დაუჭირეს მხარი. მაგრამ ხშლოდ იქ აშრიალდა კაკლის კორომები, სადაც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მთელ რიგ რაიონებში ხშლოდ სიტყვით დაუჭირეს მხარი საყურადღებო თაოსნობას, სინამდვილეში კი ფორმალურად, უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ამ დანერგვას, არ იზრუნეს იმისათვის, რომ დარგული ხეები გაზრდილიყო, ნაყოფი მოეხსნა. ამასთან დაკავშირებით სამართლიანი კრიტიკა გაისმა კომკავშირის გარდაბნის, კასპის, ზნაურის, წალენჯიხისა და სხვა რაიკომების მისამართით, რომლებმაც გატეხეს სიტყვა.

პლენუმზე ბევრი ანალოგიური მაგალითი მოიყვანეს. და თითოეული მათგანი დამაჯერებლად მოწმობდა, თუ როგორ ფუძდება საქმე, როცა კომკავშირული ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ქალაქშვილებისა და ჭაბუკების ორგანიზებას, შეკავშირებას, კონკრეტული საქმეების გადასაჭრელად მათს დარაზმვას.

სამი ძირითადი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებით წარმართეს დაინტერესებული სჯა-ბაასი პლენუმის მონაწილეებმა. იგი შეეხო ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის, როგორც კომკავშირელების, ქალაქშვილებისა და ჭაბუკების კლასობრივი წრთობის, მაღალი მოქალაქეობრიობის ჩამოყალიბების სკოლის შემდგომი სრულყოფის პრობლემებს. მთელი სიმწვავით დაისვა ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესების, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კავშირის განმტკიცების საკითხები. და ბოლოს, თითოეული გამოსვლის ქვაკუთხედი იყო ზრუნვა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ერთიანობის უზრუნველყოფისათვის, პარტიის მოთხოვნების დონეზე მისი აყვანისათვის.

პლენუმმა, რომელმაც გააანალიზა საქმის ვითარება ყველა ამ მიმართულებით, აღნიშნა, რომ საჭიროა აქტიურად გამოიყენონ ზნეობრივი პოტენციალი რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელებული პატრიოტული მოძრაობისა „მეთერთმეტე ხუთწლედს — ახალგაზრდების დამკვრელური შრომა, ცოდნა, ინიციატივა და შემოქმედება!“ წარმართონ იგი პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება და დისციპლინის გაძლიერება, კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების აღმზრდელობითი როლის ამაღლება, პიონერებთან და მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ახალგაზრდულ შემოქმედებითს კოლექტივებთან მუშაობის სრულყოფა. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა ქალაქშვილებსა და ჭაბუკებს ჩამოვუყალიბოთ მაღალი პოლიტიკური ეკონომიკური, მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, აღვზარდოთ ისინი პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

პლენუმმა კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსთხოვა უზრუნველყონ კომპლექსური მიდგომა მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისადმი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელ იდეოლოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას ისინი უნდა ეწეოდნენ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, ადგილობრივი პირობების, სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდობის სპეციფიკის, მისი განათლებისა და კულტურის დონის, გაზრდილი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით სერიოზული ამოცანები დაუსახეს ახალგაზრდა მეცნიერ საზოგადოებათა ცოდნეებს. მათ პლენუმმა მიზნად დაუსახა მუშაობის ახალი ფორმების, სახალხო სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში კომკავშირის მონაწილეობის ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გზების ძიება.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ენდელაძე.

მიღებულ დადგენილებაში პლენუმმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები ქალაქშვილები და ჭაბუკები თავგანდაძალონენ, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა უთუოდ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მიერ დასახული ამოცანები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. ბოკანი. (საინფორმი)

გაფრთხილება საჭიროა მოვაგვაროთ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტებით, თანაც ისე, რომ ამ მხრივ მივაღწიოთ მაქსიმალურად შესაძლო თვითუზრუნველყოფას. ამ პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად ჩვენი სასურსათო პროგრამა.

ი. ვ. ანდროპოვი

სასურსათო პროგრამას—მოთავარი ყურადღება!

სიუხვის რეზერვები

ვინც საღი თვალით უმზერს მომავალს, გულწრფელად გაახარებს პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის საქმიანობა სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

უახლესი მონაცემებით, ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. იზრდება მუშათა კლასი. მრავლდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მაგრამ ურბანიზაციას უსათუოდ ახლავს მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემა. ზუგდიდელ მუშას თუ მოსამსახურეს საგრძნობლად უნდა ამოსდგომოდა მხარში მისსავე ქალაქში მოპოვებული სურსათი. სწორედ ამას ითვალისწინებდა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი (პირველი მდივანი — კ. ჯანჯღავა), ორდენაც ადგილობრივი პირობების შესაბამისად ადგენდა სასურსათო პროგრამის მეტად ოპტიმალურ, რენტაბელურ და მალე-მოქმედ გეგმას.

ათობით ტონა ღორის ხორცი ჩააბარა სახელმწიფოს ზუგდიდ-ვაჩრობის (დირექტორი — ს. სოსელია) კოლექტივმა. იაფფასიან საკვებად გამოყენებულია რძის შრატი, ბარდა, ლუდის და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეგროვებული ნარჩენები. მისაბაძია მეღორეობის ფერმის ახალგაზრდა მომვლელების, ლ. და რ. გულორდავების, ნ. თოდუას ენთუზიაზმი. შარშან მათ 20 ტონა ღორის ხორცი აწარმოვეს. რეზერვების გეგმაზომიერ ათვისებას ადასტურებენ ბოლო-დროინდელ ანგარიშები.

ასეთივე მონდომებით იბრძვიან სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად ენგურჰესალდომბინატის (დირექტორი — ო. ფაცაცია), ჩაის საწნეხი ფაბრიკის (დირექტორი — გ. სოსელია), საკონსერვო ქარხნის (დირექტორი — ზ. ბერიშვილი), კომბინატის (დირექტორი — ბ. ბოკუჩავა) კოლექტივები... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ქალაქის მშრომელებმა ბოლო წლებში სახელი გაითქვეს რესპუბლიკის მასშტაბით. მრავალ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საძირკველი, ამაგიც დაუფასდათ და ზედიზედ მეხუთედ გადაეცათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა კი ვესტუმროთ ერთერთ კოლექტივს, რომელიც, მართლაც რომ, შესაშური მონდომებით ჩაება სასურსათო პროგრამის განხორციელების ფერხულში და რაღაც ორიოდე წელიწადში შთამბეჭდავი შედეგებით დაამშვენა ხელი. ეს გახლავთ ზუგდიდის სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველო (უფროსი — დ. მაქაცარია). იგი 1945 წელს შეიქმნა დაბა ჯვარში. პირველი ნაბიჯით იწყება ყოველი საქმე, ამიტომაც, ბუნებრივია, სამუშაოთა მოცულობა თავიდან ნახევარ მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, მაგრამ ელ-ნელა იცვლებოდა და ფართოვდებოდა სამმართველოს მჭიდროდ რადიუსი და სიმძლავრე. დღეისთვის მისი საქმიანობის არე თითქმის მთელ რესპუბლიკას მოიცავს. 21 მთავარიან რაიონში გაჰყავთ გზები და ხიდები. შარშან გაიყვანეს 148 კილომეტრი ავტომეყანაზადი გზა, მოეგებულია 319 ათასი მანეთი მოგება, ნაცვლად 300 ათასი მანეთისა, საექსპლოატაციოდ გადაეცა უნიკალური ხიდი მდინარე ენგურზე, მაგრამ უჩვეულო არაფერია ამ ციფრებში. განა სხვა ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისთვის, განა სხვა კოლექტივები ცოტა იღვწიან ჩვენი დიადი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში? თითვარი სულ სხვაა, სწორედ ის სხვა, რომელიც ჩვეულებრივ განასხვავებს, ზემოთ ჩამოთვლილი კოლექტივებისაგან ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველოს.

ბევრჯერ გესმენია დიად საქმეების, მათი მესვეურების ამბავი, მაგრამ ის საოქმელი ხშირად ისე შებოჭილა ციფრების არტახებით, მთავარი ღერძი — ადამიანი დაგვასხლტომია ხელიდან. დიდაუთენია ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველოში მიგვიდა. მზის ოქროსფერი სხივები ეღვრებოდა ერთის გორაკებს, ხოლო იქით, იქით ტალტად მიუყვანოდა ზაფხულის აღმართებს კავკასიონის მთების ქარავანი. ექვსიოდე ჰექტარი მიწა, რომელიც ენგურჰესალდომბინატს და სოფელ რუხის ტერიტორიებს ემიჯნება, მაკეთილადით არის შემოკავებული, „ეზოკარი მოასფალტებულია. ყველგან სისუფთავეა, რაც იშვიათობაა ასეთი ტიპის საწარმოში. საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა ს. არაჩემია — დამხმარე მეურნეობის უფროსი და მისი ჭეშმარიტი სული და გული.

— შარშან ასეთი ჯაგნარი იყო აქ, — გვითხრა მან, — ტურებიც კი მომრავლებულიყვნენ. დიდი შრომა შევალიეთ, დიდი ოფლი და ღვაწლი. მზრის ამბმელიც ბევრი ალმოგაჩენდა სამმართველოს უფროს დ. მაქაცარიასთან და მთავარ ინჟინერ ა. გრიგოლიასთან ერთად. როცა მიწა გამოვათავისუფლეთ, საშენი მასალაც გამოჩნდა და მუშახელიც.

საკვებურებს მოჩქაფუნე წყლით რეცხავდნენ რეზინისჩექმებიანი მომვლელები. ყოველი სადგომი რაციონალურად არის აშენებული. წელიწადზე მეტია, რაც ეს ნაგებობანი ჩამწკრივდა 400 ღორისთვის. ასეთი სიმძლავრის საწარმო წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურშიც აქვს სამმართველოს. აქკამად სულ გასასტუმრებლად დაყენებულია 400 სული ღორი, ჰყავთ კარგად მოვლილი 40 სანაშენე ქუთი და 200 გოჭი. წელს ფერმა 100 ტონა ღორის ხორცს მიაყიდის სახელმწიფოს.

ეს შაშხის დასამზადებელი საამქროც ს. არაჩემიას ინიციატივით მოეწყო. იგი კოლხური ძელურის ერთგვარი მოდერნიზაციაა. 4 მეტრ სიმაღლეზე დაკიდებენ ასო-ასოდ აქნილ, დამუშავებულ და დამარილებულ ხორცს, კეკეებით, გორგოლაჭებით, კვებით გადაადგილებენ ხოლმე, შეზიდავენ ნახერხს, შეუნთებენ ნელ ცეცხლს, სპეციალური ცხრილი ხორცს არ მიაკარებს ფერფლს და მოჰტეტებულ ჭვარტლს. გვიან შემოდგომა-ზამთარში ასეთნაირად ბოლში გამოყვანილი შაშხი დაზღვევულია გაფუჭებისაგან, გმირეილიც არის და ტრანსპორტირებისათვის საიმედოც. უახლოეს ხანში მამაპაპური კუპატების წარმოების ათვისებაც განუზრახავთ. აქვე ბოლში გამოიყვანენ დამარილებულ იხვებს.

ჩვენ მარტივი ტიპის ფარდულში ვიმყოფებით. მოშორებით, გაპიპინებული წყლებიდან მომვლელების, დაძახილზე თეთრი ბაჭარივით გაეშმეტა იხვების მწკრივი.

შესაშურია ს. არაჩემიას დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი.

— აი, ამ ახალგაზრდა ქალს ხომ ხედავ,— ხმაშეკრავით მეუბნება იგი, — ლეილა ტიბუაა, სამი შვილის დედა. კარგი ქმარი დაკარგა უბედურმა. იქნებ გაგიგონია, ენგურში რომ დაიცურდა მანქანა ბორის გიგიბერიასა, მისი მეუღლეა. ახლახან მისმა ძმამ ცოლი შეირთო, მაგრამ სამუშაო ერთი დღითაც არ გაუცდენია, პატარძალს დატოვებს შინ და სანამ რიგიანად არ მოაწესრიგებს აქაურობას, საქმეს არ შეეშვება.

ასეთივე გატაცებით იხატება ჩემ თვალწინ გ. ბერუულავას, ა. ქარაიას, გ. პერტაიას, ვ. მატუას პორტრეტები. მეგობრულად შეეხმიანება ბრეზენტისმოსასხამიან, ჭარმაგ ახმეტ მიქავას.

— ასეთი დაუზარელი კაცი იშვიათად მინახავს, — მეუბნება და ყველასტევეისაკენ მიმიდევებს.

5 ათასი ფრთა იხვი გამოზარდეს წლეულს.

— ამნაირი წყლების პატრონებს სირცხვილია, არა გვქონდეს მეიხვეობის, მებატეობის, მეთევზეობის მძლავრი სანაშენეები, — დაასკვნის ს. არაჩემია.

სამუშაოთა მოცულობამ ახალი მიწები მოითხოვა. ახალი მიწები ჯურიაში — ზღვისპირა ჭაობნარში აღმოჩნდა მხოლოდ. თავიდან 70 და მოგვიანებით 40 ჰექტარი მიწა გამოუყვეს სამმართველოს, ამოიძირკვა და გასუფთავდა ფართობები. გაიკაფეს წყალსაწრეტი არხები, „ალიხნეს და დათესილ სიმინდს დროულად შეაშველეს. ... სასუქი. მოუხედავად უხვი ... ანი ზაფხულისა, ... ინც გადაჯარბა 210 ტონას, რომლის ნაწილი სახელმწიფოს ჩააბარეს, ნაწილი — საკვებად მოიმარაგეს ფასასუქებელი ღორებისა და დასაფრთხილებელი იხვებისათვის.

მეტად თვალწარმტაცია დღეს სამმართველოს მიერ ჭურიაში ათვისებული ფართობები. ყოველი ნაკვეთი, ყოველი ბილიკი სიმეტრიულია. ორიგინალურია ეზო, ფარგალში გამოყვანილს ბგაჯს. კუნძულს გარშემოუვლის 12 მეტრი სიგანის მთავარი წყალსაწრეტი არხი, რომლის ნაპირები დაკიდული პაწაწინა ხიდით ერთდება და სადაც მალე კოტაჟოდა-სახლი ჩაიდგმება. მართალია, უკვე აშენებულია ხუთბინიანი კაპიტალური საცხოვრებელი, მაგრამ გზის გაყოლებაზე ჩამწკრივდება ფინური სახლები, მექანიზმების საფარები, იხვების სათავსი. აქ ჯერჯერობით 1.000 ფრთა იხვს უვლიან, თუმცა ხვალ-ზეგ მთელი ძალები ჭურიაში გადმონაცვლებს. მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია ხელოვნურად დატბორილი წყლებში 8-10 ტონა თევზის მოშენება.

კარგია, დილიდანვე ვხედავთ მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებიც ამწეებით დგამენ არაბი ლითონის ფურცლებისაგან დამონტაჟებულ წყალჩამკეტებს. აქვე ტრიალებენ სამმართველოს უფროსი დ. მაქაცარია, მთავარი ინჟინერი ა. გრიგოლია, ფაბრმარე მეურნეობის ხელმძღვანელი ს. არაჩემია, ა. მიქავა, — ერთი სიტყვით, მთელი კოლექტივი, სიამით ვევსება გული საქმიანი ხალხის მნახველს.

ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველო, ვფიქრობთ, არ დასჯერდება მოპოვებულ წარმატებებს, კვლავაც მეაღიდგეენ ახალ მიჯნებს.

გ. ფეტელავა.

ქ. ზუგდიდი.

„პარტიის სოციალურ პოლიტიკაში, უეჭველია, სულ უფრო მეტ ადგილს დაიკავებს ჯანმრთელობის დაცვის საკითხები“.

ი. ვ. ანდროპოვი

აბჯარი ჯანმრთელობის დაცვისა

„კომუნისტის“ უპასუხებენ

პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი თ. ხაზარაძე და კასპის რაიონის პროკურორი გ. ბესიაშვილი.

ვაზეთ „კომუნისტის“ 1983 წლის 22 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „გული კრულია, კაცისა“, რომელიც ეხებოდა ბოლნისისა და კასპის საკონსერვო ქარხნებში დატაცების ფაქტებს. ამის გამო რედაქციამ ორი პასუხი მიიღო.

პირველ პასუხში პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი თ. ხაზარაძე გვატყობინებს:

რაიონული კომიტეტის ბიურომ მთელი სიმკაცრით იმსჯელა საკონსერვო ქარხანაში 126 ტონა მანდარინის უსაქონლო ოპერაციების დანაშაულებრივი საქმეების ირგვლივ. ქარხანაში სახელმწიფო დისციპლინის მოშლისათვის, უპასუხისმგებლობისა და უკონტროლობისათვის, რამაც შექმნა დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცების და მითვისების საშუალება, ქარხნის ყოფილი დირექტორი თ. სუპატაშვილი გარიცხულია სკკპ რიგებიდან, პარტბიუროს მდივანს ჯ. გვიშიანს და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს ზ. ცერცვაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური ასევითვე მონდომებით იბრძვიან სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად ენგურჰესალდომბინატის (დირექტორი — ო. ფაცაცია), ჩაის საწნეხი ფაბრიკის (დირექტორი — გ. სოსელია), საკონსერვო ქარხნის (დირექტორი — ზ. ბერიშვილი), კომბინატის (დირექტორი — ბ. ბოკუჩავა) კოლექტივები... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ქალაქის მშრომელებმა ბოლო წლებში სახელი გაითქვეს რესპუბლიკის მასშტაბით. მრავალ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საძირკველი, ამაგიც დაუფასდათ და ზედიზედ მეხუთედ გადაეცათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ახლა კი ვესტუმროთ ერთერთ კოლექტივს, რომელიც, მართლაც რომ, შესაშური მონდომებით ჩაება სასურსათო პროგრამის განხორციელების ფერხულში და რაღაც ორიოდე წელიწადში შთამბეჭდავი შედეგებით დაამშვენა ხელი. ეს გახლავთ ზუგდიდის სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველო (უფროსი — დ. მაქაცარია). იგი 1945 წელს შეიქმნა დაბა ჯვარში. პირველი ნაბიჯით იწყება ყოველი საქმე, ამიტომაც, ბუნებრივია, სამუშაოთა მოცულობა თავიდან ნახევარ მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, მაგრამ ელ-ნელა იცვლებოდა და ფართოვდებოდა სამმართველოს მჭიდროდ რადიუსი და სიმძლავრე. დღეისთვის მისი საქმიანობის არე თითქმის მთელ რესპუბლიკას მოიცავს. 21 მთაგორიან რაიონში გაჰყავთ გზები და ხიდები. შარშან გაიყვანეს 148 კილომეტრი ავტომეყანაზადი გზა, მოეგებულია 319 ათასი მანეთი მოგება, ნაცვლად 300 ათასი მანეთისა, საექსპლოატაციოდ გადაეცა უნიკალური ხიდი მდინარე ენგურზე, მაგრამ უჩვეულო არაფერია ამ ციფრებში. განა სხვა ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისთვის, განა სხვა კოლექტივები ცოტა იღვწიან ჩვენი დიადი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში? თითვარი სულ სხვაა, სწორედ ის სხვა, რომელიც ჩვეულებრივ განასხვავებს, ზემოთ ჩამოთვლილი კოლექტივებისაგან ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველოს.

ბევრჯერ გესმენია დიად საქმეების, მათი მესვეურების ამბავი, მაგრამ ის საოქმელი ხშირად ისე შებოჭილა ციფრების არტახებით, მთავარი ღერძი — ადამიანი დაგვასხლტომია ხელიდან. დიდაუთენია ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველოში მივედი. მზის ოქროსფერი სხივები ეღვრებოდა ერთის გორაკებს, ხოლო იქით, იქით ტალტად მიუყვანოდა ზაფხულის აღმართებს კავკასიონის მთების ქარავანი. ექვსიოდე ჰექტარი მიწა, რომელიც ენგურჰესალდომბინატს და სოფელ რუხის ტერიტორიებს ემიჯნება, მაკეთილადით არის შემოკავებული, „ეზოკარი მოასფალტებულია. ყველგან სისუფთავეა, რაც იშვიათობაა ასეთი ტიპის საწარმოში. საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა ს. არაჩემია — დამხმარე მეურნეობის უფროსი და მისი ჭეშმარიტი სული და გული.

— შარშან ასეთი ჯაგნარი იყო აქ, — გვითხრა მან, — ტურებიც კი მომრავლებულიყვნენ. დიდი შრომა შევალიეთ, დიდი ოფლი და ღვაწლი. მზრის ამბმელიც ბევრი ალმოგაჩენდა სამმართველოს უფროს დ. მაქაცარიასთან და მთავარ ინჟინერ ა. გრიგოლიასთან ერთად. როცა მიწა გამოვათავისუფლეთ, საშენი მასალაც გამოჩნდა და მუშახელიც.

საკვებურებს მოჩქაფუნე წყლით რეცხავდნენ რეზინისჩექმებიანი მომვლელები. ყოველი სადგომი რაციონალურად არის აშენებული. წელიწადზე მეტია, რაც ეს ნაგებობანი ჩამწკრივდა 400 ღორისთვის. ასეთი სიმძლავრის საწარმო წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურშიც აქვს სამმართველოს. აქკამად სულ გასასტუმრებლად დაყენებულია 400 სული ღორი, ჰყავთ კარგად მოვლილი 40 სანაშენე ქუთი და 200 გოჭი. წელს ფერმა 100 ტონა ღორის ხორცს მიაყიდის სახელმწიფოს.

ეს შაშხის დასამზადებელი საამქროც ს. არაჩემიას ინიციატივით მოეწყო. იგი კოლხური ძელურის ერთგვარი მოდერნიზაციაა. 4 მეტრ სიმაღლეზე დაკიდებენ ასო-ასოდ აქნილ, დამუშავებულ და დამარილებულ ხორცს, კეკეებით, გორგოლაჭებით, კვებით გადაადგილებენ ხოლმე, შეზიდავენ ნახერხს, შეუნთებენ ნელ ცეცხლს, სპეციალური ცხრილი ხორცს არ მიაკარებს ფერფლს და მოჰტეტებულ ჭვარტლს. გვიან შემოდგომა-ზამთარში ასეთნაირად ბოლში გამოყვანილი შაშხი დაზღვევულია გაფუჭებისაგან, გმირეილიც არის და ტრანსპორტირებისათვის საიმედოც. უახლოეს ხანში მამაპაპური კუპატების წარმოების ათვისებაც განუზრახავთ. აქვე ბოლში გამოიყვანენ დამარილებულ იხვებს.

ჩვენ მარტივი ტიპის ფარდულში ვიმყოფებით. მოშორებით, გაპიპინებული წყლებიდან მომვლელების, დაძახილზე თეთრი ბაჭარივით გაეშმეტა იხვების მწკრივი.

შესაშურია ს. არაჩემიას დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი.

— აი, ამ ახალგაზრდა ქალს ხომ ხედავ,— ხმაშეკრავით მეუბნება იგი, — ლეილა ტიბუაა, სამი შვილის დედა. კარგი ქმარი დაკარგა უბედურმა. იქნებ გაგიგონია, ენგურში რომ დაიცურდა მანქანა ბორის გიგიბერიასა, მისი მეუღლეა. ახლახან მისმა ძმამ ცოლი შეირთო, მაგრამ სამუშაო ერთი დღითაც არ გაუცდენია, პატარძალს დატოვებს შინ და სანამ რიგიანად არ მოაწესრიგებს აქაურობას, საქმეს არ შეეშვება.

ასეთივე გატაცებით იხატება ჩემ თვალწინ გ. ბერუულავას, ა. ქარაიას, გ. პერტაიას, ვ. მატუას პორტრეტები. მეგობრულად შეეხმიანება ბრეზენტისმოსასხამიან, ჭარმაგ ახმეტ მიქავას.

— ასეთი დაუზარელი კაცი იშვიათად მინახავს, — მეუბნება და ყველასტევეისაკენ მიმიდევებს.

5 ათასი ფრთა იხვი გამოზარდეს წლეულს.

— ამნაირი წყლების პატრონებს სირცხვილია, არა გვქონდეს მეიხვეობის, მებატეობის, მეთევზეობის მძლავრი სანაშენეები, — დაასკვნის ს. არაჩემია.

სამუშაოთა მოცულობამ ახალი მიწები მოითხოვა. ახალი მიწები ჯურიაში — ზღვისპირა ჭაობნარში აღმოჩნდა მხოლოდ. თავიდან 70 და მოგვიანებით 40 ჰექტარი მიწა გამოუყვეს სამმართველოს, ამოიძირკვა და გასუფთავდა ფართობები. გაიკაფეს წყალსაწრეტი არხები, „ალიხნეს და დათესილ სიმინდს დროულად შეაშველეს. ... სასუქი. მოუხედავად ... ანი ზაფხულისა, ... ინც გადაჯარბა 210 ტონას, რომლის ნაწილი სახელმწიფოს ჩააბარეს, ნაწილი — საკვებად მოიმარაგეს ფასასუქებელი ღორებისა და დასაფრთხილებელი იხვებისათვის.

მეტად თვალწარმტაცია დღეს სამმართველოს მიერ ჭურიაში ათვისებული ფართობები. ყოველი ნაკვეთი, ყოველი ბილიკი სიმეტრიულია. ორიგინალურია ეზო, ფარგალში გამოყვანილს ბგაჯს. კუნძულს გარშემოუვლის 12 მეტრი სიგანის მთავარი წყალსაწრეტი არხი, რომლის ნაპირები დაკიდული პაწაწინა ხიდით ერთდება და სადაც მალე კოტაჟოდა-სახლი ჩაიდგმება. მართალია, უკვე აშენებულია ხუთბინიანი კაპიტალური საცხოვრებელი, მაგრამ გზის გაყოლებაზე ჩამწკრივდება ფინური სახლები, მექანიზმების საფარები, იხვების სათავსი. აქ ჯერჯერობით 1.000 ფრთა იხვს უვლიან, თუმცა ხვალ-ზეგ მთელი ძალები ჭურიაში გადმონაცვლებს. მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია ხელოვნურად დატბორილი წყლებში 8-10 ტონა თევზის მოშენება.

კარგია, დილიდანვე ვხედავთ მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებიც ამწეებით დგამენ არაბი ლითონის ფურცლებისაგან დამონტაჟებულ წყალჩამკეტებს. აქვე ტრიალებენ სამმართველოს უფროსი დ. მაქაცარია, მთავარი ინჟინერი ა. გრიგოლია, ფაბრმარე მეურნეობის ხელმძღვანელი ს. არაჩემია, ა. მიქავა, — ერთი სიტყვით, მთელი კოლექტივი, სიამით ევსება გული საქმიანი ხალხის მნახველს.

ზუგდიდის სპეციალიზებულ სამმართველო, ვფიქრობთ, არ დასჯერდება მოპოვებულ წარმატებებს, კვლავაც მეაღიდგეენ ახალ მიჯნებს.

გ. ფეტელავა.

ქ. ზუგდიდი.

„ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა“

„კომუნისტს“ უპასუხებენ

პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი თ. ხაზარაძე და კასპის რაიონის პროკურორი გ. ბესიაშვილი.

ვაზეთ „კომუნისტის“ 1983 წლის 22 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „გული კრულია, კაცისა“, რომელიც ეხებოდა ბოლნისისა და კასპის საკონსერვო ქარხნებში დატაცების ფაქტებს. ამის გამო რედაქციამ ორი პასუხი მიიღო.

პირველ პასუხში პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი თ. ხაზარაძე გვატყობინებს:

რაიონული კომიტეტის ბიურომ მთელი სიმკაცრით იმსჯელა საკონსერვო ქარხანაში 126 ტონა მანდარინის უსაქონლო ოპერაციების დანაშაულებრივი საქმეების ირგვლივ. ქარხანაში სახელმწიფო დისციპლინის მოშლისათვის, უპასუხისმგებლობისა და უკონტროლობისათვის, რამაც შექმნა დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცების და მითვისების საშუალება, ქარხნის ყოფილი დირექტორი თ. სუპატაშვილი გარიცხულია სკკპ რიგებიდან, პარტბიუროს მდივანს ჯ. გვიშიანს და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს ზ. ცერცვაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური ასევითვე მონდომებით იბრძვიან სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად ენგურჰესალდომბინატის (დირექტორი — ო. ფაცაცია), ჩაის საწნეხი ფაბრიკის (დირექტორი — გ. სოსელია), საკონსერვო ქარხნის (დირექტორი — ზ. ბერიშვილი), კომბინატის (დირექტორი — ბ. ბოკუჩავა) კოლექტივები... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ქალაქის მშრომელებმა ბოლო წლებში სახელი გაითქვეს რესპუბლიკის მასშტაბით. მრავალ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საძირკველი, ამაგიც დაუფასდათ და ზედიზედ მეხუთედ გადაეცათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარ

19 ივლისი
ყოველთვიური
ფაქტები მოვლენები
საკლასო იუწყება

აბონენტი რიგში აღარ დადგება

მომსახურების ახალი ფორმები შემნახველი სალაროების მუშაობაში

ახალი ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. იგი ითვალისწინებს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის თანამიმდევრულ განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, რესურსების ყოველმხრივ ეკონომიასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

მოსახლეობის რეალური შემოსავლის განუხრელი ზრდა ხელშემწყობ პირობებს წარმოშობს ფულადი დანაზოგების ზრდისა და მათი შემნახველ სალაროებში მიზიდვისათვის. ამ მიზანს ემსახურება დღეს რესპუბლიკის 1368 შემნახველი სალარო. 1983 წლის დამდეგისათვის საქართველოს შემნახველ სალაროებში არსებულმა ანაბრის ნაშთმა 3 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა, საშუალოდ ერთ მეანაბრეზე მოდის 1748 მანეთი.

შემნახველ სალაროებში 2 მილიონზე მეტი ანგარიშია, პრაქტიკულად რესპუბლიკის ყოველი მესამე მცხოვრები შემნახველი სალაროს მეანაბარეა.

